განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

10 იანვარი, 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204426834
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის მაგისტრი/Master of Law; 06
სწავლების ენა	ქართული ენა
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით მაისურაძე, სსიპ "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი", საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მახარობლიშვილი, სსიპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი", საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი, შპს "კავკასიის უნივერსიტეტი", საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საკუთრივ შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" სამართლის პროგრამა 2010 წლიდან შეიქმნა, ხოლო სამართლის სამაგისტრო პროგრამამ 2014 წელს გაიარა აკრედიტაცია. ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი ცდილობს პროგრამის განვითარებას, რაც სხვადასხვა ფორმებით გამოიხატება. მაგალითად, ადმინისტრაციულ და

აკადემიურ პერსონალს შორის შეხვედრებით, გაერთიანებული შეხვედრებით დამსაქმებლებთან, დამსაქმებლებისა და სტუდენტების უკუკავშირის გაზიარებით და კონკრეტული ცვლილებების განხორციელებით. ამავდროულად, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მოგვაწოდეს ინფორმაცია სამომავლოდ დასაგეგმი ცვლილებების, მათ შორის ინფრასტრუქტურული ცვლილებების შესახებ. ამავდროულად, უნივერსიტეტი ცდილობს გააქტიუროს ინტერნაციონალიზაციის ხარისხი რაც გამოიხატება გაცვლითი

პროგრამების არსებობით როგორც სტუდენტებისთვის, ასევე, აკადემიური პერსონალისთვის; ხშირი საუნივერსიტეტო კონტაქტებით ევროპის სხვადასხვა

უნივერსიტეტებთან; კვლევებში უცხოელი ექსპერტების ჩართულობით და ინგლისურენოვანი კურსების შეთავაზებითა და ზოგადად ინგლისურის ენის სწავლების გააქტიურებით. აკადემიური პერსონალი და მატერიალური რესურსი არის ნორმალური და პროგრამის მიზნების მიღწევისთვის ადეკვატური.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტის დროს ადმინისტრაციული და აკადემიური სფეროს წარმომადგენლებმა დატოვეს დადებითი შთაბეჭდილება როგორც მონდომებულმა და კვალიფიციურმა პერსონალმა. ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია ზოგადად უნივერსიტეტის, სამართლის სამაგისტრო პროგრამის და განსახორციელებელი სამომვალო გეგმების შესახებ. განსაკუთრებით დადებითი შთაბეჭდილება დატოვა კვლევებმა - სამართლის ჟურნალების სახით, რასაც უნივერსიტეტი ახორციელებს და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ზოგადი თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროგრამა სტანდარტებს შეესაბამება, თუმცა აუცილებელია სამაგისტრო პროგრამის სხვადასხვა სტანდარტებზე მუშაობის გაგრძელება. სამაგისტრო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები არის მიღწევადი, საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსების შინაარსიც არის პროგრამის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და მატერიალური რესურსი არის სამაგისტრო პროგრამის მიზნებთან მეტწილად შესაბამისობაში.

რეკომენდაციები

- აუცილებელია რამდენიმე სილაბუსის (მაგალითად, შედარებითი საკორპორაციო სამართალი) გადამუშავება და მასში უახლესი ლიტარატურის ასახვა და თემატიკის ჩაშლა საგნის სახელწოდებიდან და მიზნებიდან გამომდინარე;

- მნიშვნელოვანია რამდენიმე სილაბუსში (მაგალიად, შედარებითი კერძო სამართალი, საერთაშორისო სავაჭრო სამართალი და ა.შ.) დაემატოს კაზუსებით სტუდენტების შეფასება;
- სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამამ, ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტს კონკრეტული დავალებების შესრულებით გამოიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები; წყაროების მოძიებით, ლიტერატურის გაანალიზებით, დისკუსიების ფარგლებში იქნება ეს, პრობლემის სწორად განსაზღვრა, სათაურის შერჩევა, ნაშრომის შინაარსი, აკადემიური ნაწილი თუ სხვა. ასევე წაახალისოს და ხელი შეუწყოს მაგისტრანტებს, სამეცნიერო კვლებით პროექტებში მიიღონ მონაწილეობა. ამასთან მნიშვნელოვანია დაიგეგმოს, პრობლემური საკითხების განხილვისთვის შესაბამისი

  აქტივობები უფლებამოსილ ორგანოებთან, კომპეტენტურ პირებთან.., კანონმდებლობაში არსებულ ნაკლოვანებებსა თუ საჭიროებებზე, რისი საშუალებითაც სტუდენტებს გაუადვილდებათ აქტუალურ/პრობლემურ საკითხებზე თავიანთი პოზიციის ჩამოყალიბება და შესაბამისად საკვლევი თემის, სათაურის განსაზღვრა, მათი ინტერესების გათვალისწინებით.

- აუცილებელია სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფოკუსირება სამაგისტრო ნაშრომების ეტაპობრივად, სწორად დამუშავებასა და განსაზღვრის სტრატეგიის შემუშავებაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მნიშვნელოვანია, რომ სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის რამდენიმე წარმომადგენელი პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ახორციელებდეს სამეცნიერო საქმიანობას სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების სახით;
- სამართლის ფაკულტეტს და სამაგისტრო პროგრამას აქვთ რამდენიმე ძლიერი მიმართულება. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა სამართლის ჟურნალების სიმრავლე. ექსპერტთა ჯგუფის რჩევა იქნება სამეცნიერო საქმიანობის უფრო მეტად სისტემატიზაციისათვის, საკუთარი თავის დამკვიდრებისა და სხვა უნივერსიტეტებთან მიმართებაში შემდგომი გამორჩევის მიზნით, შეიქმნას კრიმინოლოგიის ცენტრი. აღნიშნული რჩევა გამომდინარეობს ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, ასევე უსდ-ში სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის მიმართულების სიძლიერით და აღნიშნული სფეროს წარმომადგენელი პერსონალისგან გამოთქმული საინტერესო იდეების საფუძველზე. ცენტრი გააძლიერებს კვლევით საქმიანობას და ხელს შეუწყობს სტუდენტების ჩართულობას სამეცნიერო საქმიანობაში.
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სამართლის მაგისტრანტებს

  სთავაზობს აკადემიური პერსონალის არჩევით სალექციო კომპონენტებს უცხო ენაზე (ინგლისური ენა); მსგავსი მიდგომა არის ძალიან კარგი საშუალება, ინგლისური ენის უნარების განვითარების მიზნით, ბაზრის საჭიროებებიდან გამომდინარე, ასევე ამ მიმართულებით სამაგისტრო პროგრამის პოლიტიკის გატარება, შესაბამისად

  აისახება სწავლის შედეგებზე. ვინაიდან უცხოენოვანი საგნებიდან დღეის მდგომარეობით, არც ერთი საგანი არ გააქტიურებულა, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა განსაზღვროს სტრატეგია, გააძლიეროს უცხო(ინგლისური) ენის შესწავლის მიმართულება, რომლის თანახმად დააინტერესებს სტუდენტებს

არჩევითი საგნების ნაწილში უცხოენოვანი საგანი გააქტიურონ. ამ სტრატეგიის განვითარებით სამართლის პროგრამის მაგისტრანტებს ექნებათ შესაძლებლობა ბაზარზე კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბდნენ; პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების უმეტესობისთვის, პარტნიორ, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში უზრუნველყოფილი იყოს გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება; ასევე სტუდენტს, სწავლის დოქტურანტურაში გაგრძელების შემთხვევაში, კვლევითი საქმიანობის დროს ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს და გამოიყენოს უცხოენოვანი ლიტერატურა დედანში.

- კარგი იქნება პროგრამის ბიუჯეტში დაკონკრეტდეს ფინანსური რესურსების წყაროები;

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2014 წლის 4 თებერვალს განხორციელებული აკრედიტაციის ვიზიტის შემდეგ, უსდ-მ პროგრესს მიაღწია აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისა და საგნების სილაბუსების ღირებულებათა ნაწილის სრულყოფის თვალსაზრისით.

უსდ-ს კვლავ გასაგრძელებელი აქვს მუშაობა ინტერნაციონალიზაციისა და სტუდენტების სამეცნიერო კომპონენტების შემდგომი დახვეწის მიმართულებით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
ზოგადი თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ სამაგისტრო პროგრამა ტექნიკური თვალსაზრისით ძალიან გამართულია. სამაგისტრო პროგრამაში ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული. სამაგისტრო პროგრამა საშუალებას აძლევს მაგისტრატურის სტუდენტებს შეიძინონ ცოდნა კერძო, საჯარო ან სისხლის სამართლის სფეროში. ასევე, სამაგისტრო პროგრამაში გათვალისწინებულია პრაქტიკული კომპონენტი, რაც სტუდენტებს ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების საშუალებასაც აძლევს. მაგალითისთვის პროგრამის სავალდებულო საგანია "სამართლებრივი კომუნიკაცია" (ინგლისურ ენაზე). აღნიშნული საგნის სწავლების შედეგები თავსებადია უსდ-ს მიერ ჩატარებულ შრომითი ბაზრის მოთხოვნების კვლევასთან, სადაც ისეთი სავალდებულო ასპექტები გამოიკვეთა როგორიცაა ინგლისური ენის ცოდნა და კომუნიკაციის კარგი უნარები. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსების უმრავლესობაში შეფასებები მიმდინარეობს კაზუსების გამოყენებით, რაც ასევე უსდ-ს შრომითი ბაზრის კვლევის გამოხატულებაა, რადგან ხელს უწყობს სტუდენტების ანალიტიკური უნარების განვითარებას. უსდ-ს შრომითი ბაზრის მოთხოვნების ანალიზით გამოკვეთილია, ასევე, საპროცესო უნარების ქონის აუცილებლობა. აღნიშნულ კომპონენტს სამაგისტრო პროგრამა აკმაყოფილებს, რადგან შეთავაზებული საგნები აძლიერებს ასევე სტუდენტების საპროცესო უნარებს. სამაგისტრო პროგრამის საგნების ნაწილში არ გვხვდება კაზუსებით შეფასება, მაგალითად, შედარებითი კერძო სამართალი, საერთაშორისო სავაჭრო სამართალი, ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სამართალი და ა.შ. რაც ხელს უშლის სტუდენტების ანალიტიკური უნარების განვითარებას და შესაბამისად წინააღმდეგობაშია შრომითი ბაზრის მოთხოვნებთანაც. შედარებით კორპორაციულ სამართალი არ პასუხობს სწავლის შედეგებს და არ გვხვდება მნიშვნელოვანი შინაარსობრივი სხვაობა საბაკალავრო პროგრამისსაგან - სამეწარმეო

სამართალს შორის. ამავდროულად, საგნის სახელწოდებიდან და მისი მიზნებიდან გამომდინარე, საგანი, აგებული უნდა იყოს შედარებით-სამართლებრივ კონტექსტზე, თუმცა თემატიკა ამის განსაზღვრის საშუალებას არ იძლევა. შედარებითი კონტექსტი მხოლოდ რამდენიმე ლექციის შემთხვევაში გვხვდება. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საგნების ნაწილი შეთავაზებულია ინგლისურ ენაზე, ისინი გააქტიურებული ამ ეტაპზე არ არის. სამაგისტრო პროგრამა თანდართული დოკუმენტაციის ქმნის ინტერნაციონალიზაციის კარგ სტდანდარტს, რაც გამომდინარეობს სტუდენტების, აკადემიური პერსონალის მობილობებიდან; თანამშრომლობიდან, რომელიც უსდ-ს აქვს უცხოურ უნივერსიტეტებთან და სასწავლო და კვლევით პროცესში უცხოელების ჩართულობიდან. უნივერსიტეტი არის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ქსელების წევრი და მისი სტუდენტები და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ გაცვლით პროგრამებში. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მიზნებს და მისიას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სილაბუსები ○ ინტერვიუ
რეკომენდაციები: - **აუცილებელია "შედარებითი საკორპორაციო სამართლის" შემდგომი გადამუშავება** - **აუცილებელია შეფასების კომპონენტში კაზუსების დამატება**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს შრომითი ბაზრის კვლევა, რომელიც ბაზარზე არსებული ზოგადი მდგომარეობიდან გამომდინარე მეტნაკლებად ასახავს დამსაქმებლების ძირითად მოთხოვნებს და სამაგისტრო პროგრამა და მისი შედეგები ორიენტირებულია ამ მოთხოვნების შესრულებაზე. ამავდროულად, სამაგისტრო პროგრამის შედეგები არის გაზომვადი.

პროგრამის შედეგების სწორად განსაზღვრაში მნიშვნელოვანია გამოვყოთ უნარები და ცოდნა, რომელსაც სტუდენტი იღებს პროგრამის გავლის შედეგად. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობს დამსაქმებლებთან (მაგალითად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო) და მათი უკუკავშირის გათვალისწინებთ ახდენს პროგრამის მოდიფიცირებას. ამავდროულად, უნივერსიტეტი უკუკავშირს იღებდა და ითვალისწინებდა სტუდენტების მხრიდანაც.

სამაგისტრო პროგრამის და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ სტუდენტები განსაკუთრებით კარგად იქნებიან მომზადებულები პრაქტიკული თვალსაზრისით როგორიცაა საპროცესო უნარების ცოდნა, ხელშეკრულების შედგენა და ა. შ. ამავდროულად, უნივერსიტეტში ძლიერია კვლევითი კომპონენტი, მოქმედებს რამდენიმე ჟურნალი და მაგისტრატურის სტუდენტებიც ჩართულები არიან სამართლის ჟურნალებთან დაკავშირებულ კვლევით საქმიანობაში.

საკუთრივ სამაგისტრო ნაშრომები არ არის მაღალი ხარისხის, დაბალია ციტირებების რაოდენობა და ნაშრომების სათაურები ძალიან ფართოა, ხოლო ტექსტი სრულად ვერ პასუხობს ნაშრომი სათაურში დასმულ პრობლემატიკას.

პროგრამა, ასევე, ცდილობს ხელი შეუწყოს აკადემიური პატიოსნების სტანდარტს და იურიდიული პროფესიის ეთიკური სტანდარტების გაძლიერებას. როგორც ზემოთ აღნიშნა, ხარვეზი ვლინდება რამდენიმე საგანში კაზუსების გამოუყენებლობასა და შედარებით საკორპორაციო სამართლის სილაბუსთან (ამ სილაბუსში არ არის უახლესი ლიტერატურა მითითებული და შედარებითი თემატიკა არ არის გამოყოფილი) დაკავშირებით. აღნიშნულმა საკითხებმა საბოლოო ჯამში შეიძლება გავლენა მოახდინოს სწავლის შედეგების მიღწევაზე, თუმცა ვერ ფარავს განხილულ დადებით ფაქტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა ○ სილაბუსები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუ
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - **პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მესამე მხარემ ჩაატაროს უსდ-ს პროგრამების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზი**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების საფუძველზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. ჩაირიცხვა ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე; პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის წესით წელიწადში ორჯერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით; სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და წესით. პროგრამის მიხედვით, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე. ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობის, პროგრამის მიზნების, შედეგების, შეფასების სისტემის, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ საჯაროა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა ○ თვითშეფასების დოკუმენტი ○ ინტერვიუ
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სამართლის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგიისა და დამტკიცების წესის მიხედვით, რომელიც დამქტკიცებულ იქნა 2018 წლის 12 ივნისს. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს უმღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის პროგრამის მინიმალურ კრედიტებს, ზოგად სტრუქტურულ მონახაზსს, მათ შორის, პროგრამის და სილაბუსის ჩარჩოს, რომელის მიხედვითაც უნდა იმოქმედოს პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)მა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამაგისტრო პროგრამის განვითარებას საფუძვლად დაედო შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი. მიუხედავად ამისა, პროგრამის განვითარება-მოდიფიცირებისათვის არსებითად მნიშვნელოვანია მსგავსი მექანიზმების გამოყენება. ასევე, პროგრამის შემუშავებისას აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან პროგრამის განვითარების მიზნით შეხვედრებია განხორციელებული, რომელიც დასტურდება შეხვედრის ოქმების სახით. სამაგისტრო პროგრამის თითოეული კომპონენტის სწავლის შედეგებით განისაზღვრება პროგრამის საერთო შედეგები. თითოეული კომპონენტი ავითარებს კომპეტენციების იმ დონეს, რომელიც შეესაბამება მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნებს. პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობა უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული მაგისტრატურის საფეხურის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებას. ამასთან აღსანიშნავია, რომ პროგრამის სააკრედიტაციოდ წარმოდგენისა და საკრედიტაციო ვიზიტის მომენტისათვის ჯერ კიდევ მოქმედებს სამართლლის დარგობრივი მახასიათებელი, რომელიც მიღებულ იქნა 2011 წელს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების განსაზღვრისას (დამკვიდრებული წესის თანახმად) დარგობრივი მახასიათებლით გაწერილი 6 (ექვსი) აღმწერის თანმიმდევრობითი წყობით ხელმძღვანელობდა პროგრამის შემუშავებაში ჩართული პერსონალი, აღნიშნულ პროგრამაში წარმოდგენილია არა არსებული დარგობრივი მახასიათებლის სტრუქტურის მიხედვით, არამედ მას აქვს სწავლის 5 (ხუთი) შედეგი, რომელიც სრულად ფარავს სამართლის დარგრობრივი მახასიათებლით გაწერილ მაგისტრატურის კურსდამთავრებულის სწავლის შედეგებს. ეს პროგრამისათვის დადებითია, რადგან ის კომპეტენციაზე დაფუძნებულ, პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგის განსაზღვრის მოდიფიცირებული და განახლებული ხედვას ითვალისწინებს. სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების საფუძველზე. სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის

ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. ჩარიცხვა ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე.

სამაგისტრო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას პრინციპით: ზოგადიდან კერძოსკენ, მარტივიდან რთულისაკენ. სამაგისტრო პროგ რამის 120 კრედიტში მოიაზრება სავალდებულო კურსები - 18 კრედიტი, არჩევითი კურსები - 48 კრედიტი, პრაქტიკული კომპონენტი - 24 კრედიტი და კვლევითი კომპონენტი - 30 კრედიტი.

პროგრამა, ერთი მხრივ, ორიენტირებულია თეორიული ცოდნის, თანამედროვე საჯარო/კერძო/სისხლის სამართლის სიღრმისეულ შესწავლასა და სტუდენტში კვლევის უნარების გამომუშავებაზე. პროგრამით შემოთავაზებული კურსები სტუდენტს აძლევს საშუალებას, რომ გააცნობიეროს მიღებული ცოდნა და გამოიყენოს პრაქტიკაში, მოიძიოს და დაამუშავოს სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ და ინგლისურ ენაზე. განმარტების მეთოდების გამოყენებით შეაფასოს პრობლემა. ჩამოაყალიბოს სამართლებრივი დასკვნები არატრადიციული მეთოდების გამოყენებით. შეიძინოს დოკუმენტებთან და პირველად წყაროებთან მუშაობის უნარები. აქტიურად ჩაერთოს სტუდენტურ კონფერენციებში. მეორე მხრივ, პროგრამა ფოკუსირებულია სტუდენტის პრაქტიკული და პროფესიული უნარ–ჩვევების გამომუშავებზე, რაც ხელს უწყობს მათ დასაქმებას.

სამაგისტრო პროგრამა შედგება სამი მოდულისაგან: თანამედროვე საჯარო სამართალი, თანამედროვე კერძო სამართალი და თანამედროვე სისხლის სამართალი. მოდულები სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს გაიღრმაოს ცოდნა არჩეული მიმართულებით. თითოეული მოდული შედგება არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. სტუდენტმა მოდულების ფარგლებში უნდა დააგროვოს 48 კრედიტი. ერთი არჩეული მოდულის ფარგლებში სავალდებულოა სტუდენტმა დააგროვოს 36 კრედიტი, ხოლო დანარჩენი 12 კრედიტი შეუძლია დააგროვოს დარჩენილი ორი მოდულის ფარგლებში. სავალდებულო სასწავლო კურსები სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას გაიღრმაოს ცოდნა სამართლის ფილოსოფიის, სამართლებრივი კომუნიკაციის და აკადემიური წერის და კვლევის მეთოდების მიმართულებით. პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს პროფესიული ეთიკის სასწალო კურსს (6 კრედიტი) და იურიდიულ კლინიკას (18 კრედიტი).

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამაში მეტწილად ყველა დაინტერესებული პირია ჩართული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების დოკუმენტი
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ლოგიკური ერთობლიობით, ხოლო ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შედგენილია ისე, რომ მოხერხდეს შეძენილი ცოდნის ან/და კომპეტენციის დადასტურება. სასწავლო კურსის სწავლის შედეგი გამომდინარეობს სასწავლო კურსის მიზნებიდან და შინაარსიდან. სასწავლო კურსები დაგეგმილია ისე, რომ სტუდენტისგან მოითხოვს ძირითადი ლიტერატურიდან ინფორმაციის გაცნობას, დამუშავებას და სიღრმისეულ გააზრებას, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსი თითქმის სრულად უცხოენოვან ლიტერატურაზეა ბაზირებული, რაც ქართულენოვანი პროგრამისათვის (მიუხედავად იმისა, რომ დაშვების წინაპირობა უცხო

ენა არის) და მეტადრე სტუდენტისათვის გარკვეული სირთულეების წარმომშობი შეიძლება იყოს. სასწავლო კურსები ითვალისწინებს მიწოდებული ცოდნის ყოველკვირეულ შემოწმებას ჯგუფური სამუშაოების და სემინარების მეშვეობით.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო მასალა შედგენილია სასწავლო კურსის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე. სახელმძღვანელოები ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას. მოიცავს დარგის უახლეს მიღწევებსა და კვლევებს. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების დოკუმენტი
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

პრაქტიკული უნარების გამოსამუშავებლად პროგრამით გათვალსიწინებულია შემდეგი პრაქტიკული კურსები: პროფესიული ეთიკა და იურიდიული კლინიკა/პრაქტიკული სამართლის კლინიკა. ხოლო კვლევითი უნარების განვითარებისთვის პროგრამა ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და დაცვას. სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტების გარდა, პრაქტიკული უნარების ჩამოსაყალიბებლად პროგრამის სამივე მოდულში თანამედროვე საჯარო/კერძო/სისხლის სამართალი, გათვალისწინებულია სასწავლო კურსები, რომელიც მოიცავს პრაქტიკულ სწავლებასაც. პრაქტიკულ კომპონენტს კოორდინაციას უწევენ პროგრამის ხელმძღვანელები, ხოლო პრაქტიკის ადგილზე ჰყავთ უშუალო გამოყოფილი ხელმძღვანელი, რომელიც სტუდენტების საქმიანობას კურირებს. სტუდენტები ასრულებენ კონკრეტული სამუშაოს ხელმძღვანელის მითითების შესაბამისად და აწარმოებენ კლინიკური სწავლების დღიურს. შესაბამისად, პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც შეაფასებს სტუდენტის საქმიანობას.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პლაგიატის აღმოჩენის და თავიდან აცილების მიზნით უნივერსიტეტს შეძენილი აქვს ანტიპლაგიატის სისტემა Turnitin. პაკეტი შესაძლებლობას მისცემს ხელმძღვანელს განიხილოს შეცდომები სტუდენტებთან ერთად და მიუთითოს მათ გამოსწორების გზებსა და საშუალებებზე. ანტიპლაგიატის სისტემის საშუალებით კვლევითი კომპონენტის შესრულებისას პრევენციულად გამოსწორდება პრობლემები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების დოკუმენტი
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სამართლის სამაგისტრო პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს სამართლის სფეროსათვის აუცილებელი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარებას. კომპეტენციები აღწერილია სწავლის შედეგებით, რომლებზეც შესაძლებელია დაკვირვებისა და შეფასების განხორციელება. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან ჩატარებული გამოკითხვისა და ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა სწავლება-სწავლის მეთოდების დახვეწის საჭიროება. აღნიშნული შედეგების გათვალისწინება პროგრამის ადმინისტრებაში ჩართული პერსონალის მიერ მოხდა პროგრამის ცვლილებების მზადების პროცესში. განახლებული მეთოდებით სწავლება მომდევნო სემესტრიდან განხორციელდება და შემდეგომ მოხდება მისი ეფექტიანობის შემოწმება. შემუშავებული ცვლილებების მიხედვით, პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისა და სწავლების პროცესის მაღალ დონეზე წარმართვისათვის, უნივერსიტეტი იცავს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპს, ანუ კომპეტენციების გამომუშავების ხელშეწყობას და არა მზა ცოდნის მიცემას. ამ მიზნის მისაღწევად სულხან-

საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პოლიტიკა ეფუძნება: სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი მეთოდების დანერგვა - განხორციელებას; სწავლებისა და სწავლის კლასიკური და თანამედროვე მეთოდების კომბინირებას. კერძოდ: სწავლების კლასიკური მეთოდებიდან უპირატესობა ენიჭება ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის, ვერბალური ახსნა–განმარტებითი და წერითი მუშაობის მეთოდებს; ევრისტიკულ მეთოდს, კაზუსების ამოხსნის, დემონსტრირების, კვლევისა და დამოუკიდებელი სწავლის მეთოდებს. ასევე, სწავლების ინტერაქტიული მეთოდების მრავალფეროვნებიდან უპირატესობა ენიჭება: ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დისკუსია-დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევის ანალიზი (Case study), სინთეზი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი და ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დემონსტრირების, ახსნა-განმარტებითი და სხვ მეთოდები. უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტების განსხვავებულ მოთხოვნებს, სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებსა და აკადემიურ მომზადებას, აგრეთვე საგანამანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველყოფას. ქმნის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს, სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობასა და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს შესაბამისი ადამიანური რესურსით. უნივერსიტეტში შემუშავდა და დამტკიცდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. შესაბამისად, სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა ○ თვითშეფასების დოკუმენტი ○ ინტერვიუ ○ სილაბუსები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და პროგრესის გზების შესახებ და უზრუნველყოფენ უკუკავშირს. ხოლო უკუკავშირის მეშვეობით დგინდება, თუ რამდენად გამართულად, ხარისხიანად, შედეგზე ორიენტირებულად მუშაობს სასწავლო პროცესის ყოველი დეტალი.

უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისას სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს თავიდანვე გაეცნოს სილაბუსებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები. კურსის მიმდინარეობის მანძილზე სტუდენტს საშუალება აქვს თავის მიმდინარე შეფასებებს ელექტრონული მართვის სისტემიდან ადევნოს თვალი და დროული რეაგირება ჰქონდეს მიღწეულ შედეგებზე.

უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების კომპონენტები და მათი შესაბამისი მეთოდები წარმოადგენს დინამიკური განათლების პროცესის მოსალოდნელი შედეგების

პროცესუალური და შედეგობრივი კონტროლის საშუალებას, სამართლიანობის პრინციპების დაცვას და შესაბამისად ის არის: სანდო, გაზომვადი, ობიექტური, გამჭვირვალე და სისტემატური.

სტუდენტის შეფასების მეთოდები სამართლის სამაგისტრო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა ○ სილაბუსები ○ ინტერვიუ ○ თვითშეფასების დოკუმენტი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტიშესაბამისობაშ მოთხოვნებთა	მეტწილად შესაბამისობაშ მოთხოვნებთა	ნაწილობრივ შესაბამისობაშ მოთხოვნებთა	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი"-ს (შემდგომში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები, შიდა სამართლებრივი აქტებით მკაფიოდ, ამომწურავად და ნათლად არის ჩამოყალიბებული. სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაცია, სწავლის პროცესის შესახებ, დეტალურად და გასაგებად არის აღწერილი. როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული რეგულაციები/პროცედურები, ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგებია მათთვის. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია

ზრუნავს სტუდენტისთვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდებაზე. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და შესრულებისთვის არსებობს შესაბამისი ელექტრონული ბაზა, კორპორაციული ელექტრონული ფოსტა, რომლის საშუალებით სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და

აქვთ კომუნიკაცია, როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, თემის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან. სტუდენტების უმეტესობა დასაქმებულია. შესაბამისად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ლექციების ჩატარების დრო, მაქსიმალურად არის მორგებული სტუდენტების დღისწესრიგზე, რაც სასწავლო პროცესს ბევრად უფრო მოქნილს და კომფორტულს ხდის.

სტუდენტებთან ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის სამაგისტრო პროგრამამ ბოლო პერიოდის განმავლობაში განიცადა მოდიფიკაცია და სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, დამსაქმებელთა, შეფასებებით მიღებული უკუკავშირის შესაბამისად სამართლის სამაგისტრო პროგრამით განსაზღვურული სავალდებულო და არჩევითი საგნები

მაქსიმალურად ორიენტოირებული გახდა პრაქტიკულ კომპონენტზე, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებასა და ბაზრის გამოწვევების შესაბამისად, სათანადო, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაზე. აღნიშნულ გარემოებას ამყარებს პროგრამაში, არჩევითი - ინგლისურენოვანი საგნების არსებობა და ისეთი საგნების დამატება, როგორიცაა მაგალითად “დანაშაული და მედია” - კომბინირებული პრაქტიკულ

კურსთან; კრიმინოლოგიური კვლევების ცენტრის დაფუძნება და აღნიშნული მიმართულებით სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართვა/დასაქმება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს, როგორც სტუდენტების ინფორმირებას ადგილობრივი სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების და მათი მოპოვების შესახებ, ასევე თავადაც ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, მათი დაფინანსების/თანადაფინანსების, სტიპენდიების

გაცემის სახით. სტუდენტები მონაწილეობენ როგორც საქართველოს მასშტაბით გამართულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, სტატიების მომზადებასა და გამოქვეყნებაში, ასევე საზღვარგარეთ დაგეგმილ მსგავსს აქტივობებში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მაქსიმალურად უცხადებს მხარდაჭრრას თავის სტუდენტებს, და საჭიროების შემთხვევაში მზადაა გამოყოს შიდა (საუნივერსიტეტო) გრანტები როგორც მაგისტრანტებისთვის ასევე აკადემიური

პერსონალისთვის, სამეცნიერო კვლებითი პროექტების დასაფინანსებლად. უნივერსიტეტი ხელს უწყობს და ეხმარება მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს სწავლის გადასახადის შემცირებით, სტიპენდიების გაცემით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ჩართულია ერასმუსის პროგრამაში ასევე,

ყავს რამოდენიმე პარტნიორი უნივერსიტეტეტი სადაც გაცვლითი პროგრამებში სტუდენტები ღებულობენ მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ ექსპერტების მიერ, გაცვლითი პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა მიერ მიღებული შეფასებების(GPA) ანალიზით, ისინი საზღვარგარეთ სწავლას, გაცვლითი სემესტრის ფარგლებში კარგად

ართმევენ თავს და მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა მიერ პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზს, რომელიც სამომავლოდ გამოიყენება დასახული სწავლის შედეგის მიღწევის მტკიცებულებად და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სამომავლო განვითარების პროცესის უზრუნველყოფას.

სტუდენტები დაწესებულების ხელშეწყობით საქმდებიან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ.

სამართლის კლინიკა - სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები მიმდინარე პროცესებში მაქსიმალურად არიან ჩართულები, აღნიშნული კლინიკის ფარგლებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, კლინიკის ფარგლებში, სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში, სტუდენტების დასაქმება ხორციელდება. კლინიკის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტის გავლით, სტუდენტები თეორიულ ცოდნასთან ერთად ეუფლებიან პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და პრაქტიკის წარმატებით დასრულების შემდგომ მათი სურვილისამებრ საქმდებიან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული

დოკუმენტაციით; სამართლის სამაგისტრო პროგრამა; სილაბუსები; სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი; მემორენდუმები პარტნიორ

უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან; აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამაგისტრო თემების ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სამართლის მაგისტრანტებს სთავაზობს აკადემიური პერსონალის არჩევით სალექციო კომპონენტებს უცხო

  ენაზე (ინგლისური ენა); მსგავსი მიდგომა არის ძალიან კარგი საშუალება, ინგლისური ენის უნარების განვითარების მიზნით, ბაზრის საჭიროებებიდან გამომდინარე, ასევე ამ მიმართულებით სამაგისტრო პროგრამის პოლიტიკის გატარება, შესაბამისად აისახება სწავლის შედეგებზე. ვინაიდან უცხოენოვანი საგნებიდან დღეის მდგომარეობით, არც ერთი საგანი არ ყოფილა აქტიური, მნიშვნელოვანია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ განსაზღვროს სტრატეგია, გააძლიეროს უცხო(ინგლისური) ენის შესწავლის მიმართულება,

რომლის თანახმად დააინტერესებს სტუდენტებს არჩევითი საგნების ნაწილში უცხოენოვანი საგანი გააააქტიურონ. ამ სტრატეგიის განვითარებით სამართლის პროგრამის მაგისტრანტებს ექნებათ შესაძლებლობა ბაზარზე კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბდნენ; პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების უმეტესობისთვის, პარტნიორ, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში უზრუნველყოფილი იყოს გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება; ასევე სტუდენტს, სწავლის დოქტურანტურაში გაგრძელების შემთხვევაში, კვლევითი საქმიანობის დროს ქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს და გამოიყენოს უცხოენოვანი ლიტერატურა დედანში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი"-ს (შემდგომში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის სამაგისტრო პროგრამისა და სამაგოსტრო ნაშრომების შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობაში ისეთი პირები არიან ჩართულნი, რომელთაც შესაბამისი აკადემიური გამოცდილება აქვთ, თუმცა ექსპერთა მიერ, ვიზიტის დროს

სამაგისტრო ნაშრომების გაცნობის პროცესში გამოიკვეთა რიგი ხარვეზების, როგორც ნაშრომის შინაარსობრივ, ისე ფორმალურ ნაწილთან დაკავშირებით. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს სამაგისტრო თემების ხელმძღვანელებთან ინტერვიურების პროცესში დასმულ კითხვაზე, თუ რამდენად სათანადოდ არიან მომზადებულნი სამაგისტრო თემის დასამუშავებლად სტუდენტები, ისე როგორც ამას აღნიშული პროგრამისთვისთვის დადგენილი სტანდარტი ითვალისწინებს, სამაგისტრო თემის ხელმძღვანელების მიერ აღინიშნა, რომ მათ უწევთ ზრუნვა იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და დახვეწაზე რაც აუცილებელია ნაშრომზე სამუშაოდ. მოცემული ვითარებიდან იკვეთება რომ მაგისტრანტების უმეტესობა სრულფასოვნად არ ფლობს იმ უნარ-ჩვევებს რომელთა შესწავლაც გათვალისწინებულია შესაბამისი სასწავლო კომპონენტებით, რაც სამაგისტრო ნაშრომების ხარისხზე აისახება. თავის მხრივ, უნდა აღინიშოს 2017-2018 წლების სამაგისტრო ნაშრომები, რომლებიც წინა წლებთან შედარებით, მეტწილად გაუმჯობესებული აკადემიურ სტანდარტით გამოირჩევა და ზოგიერთი მათგანი საინტერესო კვლევით მიმართულებებსაც ეხება. სამაგისტრო ნაშრომების მაღალი ხარისხით დამუშავების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა მიდგომა, რომლის თანახმად უნდა დაიხვეწოს აკადემიური წერის სტანდარტი და ამ მიზნით დამატებით, ძირითად სასწავლო გეგმასთან, განისაზღვრა სალექციო კურსი, "აკადემიურ წერა", რომელსაც გაუძღვება პროგრამის ხელმძღვანელი. ასევე მნიშვნელობანია დასახული გეგმა, რომელიც ეხება სამაგოსტრო ნაშრომზე მუშაობისას დროის სწორად განსაზღვრისა და გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც დაეხმარება სტუდენტს, ისევე როგორც ხელმძღვანელს, საბოლოო შედეგის მიღწევაში. აღსანიშნავია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია სპეციალური პლაგიატის პროგრამა, რომლის მეშვეობითაც განხორციელდება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული და წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების შემოწმება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; სამართლის სამაგისტრო პროგრამა; სილაბუსები; სამაგისტრო ნაშრომები, აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის სამაგისტრო პროგრამის, სამაგისტრო თემების ხელმძღვანელებთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:

სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფოკუსირება სამაგისტრო ნაშრომების ეტაპობრივად, სწორად დამუშავებასა და განსაზღვრის სტრატეგიის შემუშავებაზე. სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამამ, ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტს კონკრეტული დავალებების შესრულებით გამოიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები; წყაროების მოძიებით, ლიტერატურის გაანალიზებით, დისკუსიების ფარგლებში იქნება ეს, პრობლემის სწორად განსაზღვრა, სათაურის შერჩევა, ნაშრომის შინაარსი, აკადემიური ნაწილი თუ სხვა. ასევე წაახალისოს და ხელი შეუწყოს მაგისტრანტებს, სამეცნიერო კვლევით პროექტებში მიიღონ მონაწილეობა. ამასთან მნიშვნელოვანია დაიგეგმოს, პრობლემური საკითხების განხილვისთვის შესაბამისი აქტივობები უფლებამოსილ ორგანოებთან, კომპეტენტურ პირებთან, კანონმდებლობაში არსებულ ნაკლოვანებებსა თუ საჭიროებებზე, რისი საშუალებითაც სტუდენტებს გაუადვილდებათ აქტუალურ/პრობლემურ საკითხებზე თავიანთი პოზიციის ჩამოყალიბება და შესაბამისად საკვლევი თემის, სათაურის განსაზღვრა, მათი ინტერესების გათვალისწინებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
უსდ-ს მოწვეული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, რომელთაც აქვს სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება. პრაქტიკული საქმიანობის კომპონენტის სწავლების პროცესში დანერგვა და ამ კომპონენტის განხორციელება პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირის მიერ ამდიდრებს საგანმანათლებლო პროგრამას. ამ მხრივ უსდ ძირითადად აკმაყოფილებს პროგრამის მიზანს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს და აკრედიტაციის სტანდარტებს. მიუხედავად ზემოთ თქმულისა, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი მასალების, მათ შორის სამეცნიერო პერსონალის რეზიუმეების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სამეცნიერო პერსონალის რამდენიმე წარმომადგენელს არ აქვს ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ სპეციალისტებს აქვთ იურიდიული განხრით მუშაობის გამოცდილება, მონაწილეობენ სხვადასხვა ტრენინგებში/სემინარებში/კონფერენციებში, თუმცა პარალელურად სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება მნიშვნელოვანი ბენეფიტი იქნებოდა უსდ-ს სამაგისტრო პროგრამისთვის.

სამეცნიერო პერსონალის კომპეტენცია არის შესაბამისობაში სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. თუმცა როგორც აღინიშნა, კარგი იქნება თუ გაძლიერდება მათი სამეცნიერო საქმიანობა პუბლიკაციებზე მუშაობისა და გამოქვეყნების გზით. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების კომპეტენცია არის ნაშრომის თემატიკასთან კავშირში.

ამავდროულად, სამეცნიერო და აკადემიური პერსონალი ჩართულია სამაგისტრო პროგრამის განვითარებაში და მათი უკუკავშირი გათვალისწინებულია პროგრამაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებაში, დახვეწასა და განვითარებაში.

ადმინისტრაციული და დახმარე პერსონალის რაოდენობა და კვლიფიკაცია არის სამაგისტრო პროგრამის მიზნებისა და პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის ადეკვატური.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- ინტერვიუ
- თვითშეფასების დოკუმენტი
- პერსონალის რეზიუმეები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ექსპერტთა გუნდს სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე, შთაბეჭდილება დარჩა, რომ სამართლის ფაკულტეტის დეკანი არ არის აქტიურად ჩართული სამართლის ფაკულტეტის სამეცნიერო, აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ საქმიანობაში. ფაკულტეტის და პროგრამების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი დეკანის პირადი, აქტიური და გამოკვეთილი ჩართულობა!

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი"-ს (შემდგომში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: ადმინისტრაციული და აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონეა, იმართება რეგულარული შეხვედრები, ხდება სტუდენტებთან უშუალო კონტაქტის უზრუნველყოფა, მათი გამოკითხვა, სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება, შესაბამისი უკუკავშირის მიღების და მისი პროგრამაში გათვალისწინების მიზნით. ადმინისტრაციის თანამშრომელები უზრუნველყოფენ უშუალოდ კავშირს როგორც სტუდენტებთან ისე აკადემიურ და მოწვეულ ლექტორებთან,

ამასთან მათ ყოველთვის ოპერატიულად მიეწოდებათ ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია ტექნიკურ და სასწავლო საკითხებთან დაკავშირებით. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაინერგა ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული მექანიზმები, რომელიც მოიცავს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასებას. აღნიშნული წესის თანახმად აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება განხორციელდება სემესტრში ერთხელ, უნივერსოტეტის მიერ გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალი მუდმივად მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, ტრენინგებსა თუ სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებში. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის

პროფესიულ განვითარების, მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხეშლშეწყობის მიზნით ხორციელდება როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის მობილობა პარტნიორ ევროპის უნივერსიტეტებში, ასევე უცხოელი ლექტორების მოწვევა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არსებობის მანძილზე შესრულებულია 50-ზე მეტი სხვადასხვა თემატიკისა და ხასიათის გამოცემა (იხ. უნივერსიტეტის ვებ- გვერდი). სამართლის ფაკულტეტის ამერიკული სამართლისა და სამართლის ფილოსოფიის კათედრის ორგანიზებით ყოველწლიურად იმართება სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში“, კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენებები სამეცნიერო კრებულის სახით გამოიცემა. 2018 წლიდან საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო კონფერენციას - „სამართალი და გლობალური უსაფრთხოება“, რომელიც 2019 წლიდან ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტის პარტნიორობით გაიმართება და ყოველწლიური გახდება. სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი შეუერთდა ჟურნალ „სამართლის მეთოდების“ გამომცემლებს. ჟურნალის მე-2 და მომდევნო ნომრები უკვე დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის, „ჯეი ემ ჯი და პარტნიორებისა“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პარტნიორობით გამოვა. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად უნივერსიტეტმა, შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრა აფილირებული პერსონალისთვის ანაზღაურებადი აქტივობების ჩამონათვალი და ამ აქტივობათა განხორციელებისათვის საჭირო დროის პირობითი სამიზნე ნიშნულები წლის მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; სამართლის სამაგისტრო პროგრამა; სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი; მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან; აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი"-ს (შემდგომში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გამართულია, აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და აპარატურით, აუდიტორიები იდეალურ მდგომარეობაშია და შექმნილია კომფორტული გარემო სწავლისათვის. საბიბლიოთეკო რესურსი მრავალფეროვანია, სამართლის ბიბლიოთეკა გამოირჩევა მრავალფეროვანი ლიტერატურით, მათ შორის, უცხოენოვანი წიგნებით. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია შემდეგი ონლაინ რესურსები: "EBSCO; HeinOnline". აღნიშნულ ბაზებზე სრული წვდომა ეხმარება სტუდენტებს მაქსიმალურად აითვისონ, უცხოენოვანი უახლესი წყაროები და გამოიყენონ სამაგისტრო ნაშრომის დამუშავების პროცესის განმავლობაში. კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ კვლევითი სამუშაოს განხორციელების დროს, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცის შეუზღუდავად გამოყენების შესაძლებლობა.

ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი რომელიც ძალიან მოქნილია, ბიბლიოთეკაში წიგნებთან პირდაპირი ფორმით შემხებლობა სტუდენტებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომია. წიგნების განაწილებას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის თანამშრომელი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას ასევე აქვს წვდომა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" სრულ რესურსზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გაცნობისა და გამოყენების შესაძლებლობით და გააჩნია ელექტრონული წიგნების ფონდი.

ასევე აქვს, უახლესი მოდელის პერსონალური კომპიუტერებით აღჭურვილი ოთახები, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზი - აუდიო-ვიზუალური საშუალებებით შესაბამისად აღჭურვილი. ასევე, უნივერსიტეტის ვიზიტორი პირებისთვის კომფორტული, თანამედროვე ტიპის სასტუმრო ოთახები, სასადილო, სველი წერტილები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას

განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამას აქვს განცალკევებული ბიუჯეტი, რომელიც აკმაყოფილებს სამაგისტრო პროგრამის მიზნებით მიღწევად შედეგებს.

ბიუჯეტში არ არის მითითებული სამაგისტრო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები. ამავდროულად, სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი გათვლილია 30-35 სტუდენტზე, თუმცა უსდ-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით რეალურად აქტიური სტუდენტი არის მხოლოდ 68. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ პროგრამა არის უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის დონაციაზე. ეს, რა თქმა უნდა, არ არის გადაცდომა, თუმცა ბიუჯეტში ფინანსური მხარდაჭერის წყაროები უნდა იყოს

გამოყოფილი და ინდეტიფიცირებული. ამავდროულად, ინტერვიუს დროს ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ პროგრამა არის თვითკმარი, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, აღნიშნული არ დასტურდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- ფინანსური დოკუმენტი
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

უკეთესი იქნება თუ ბიუჯეტი უფრო დეტალურად იქნება ფორმულირებული, მათ შორის მითითებული იქნება ფინანსური მხარდაჭერის წყაროები

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სააკრედიტაციო ვიზიტისა და წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი, მეტწილად, თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნვეოყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესში, თუმცა ამ პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში მათი ჩართულობა ნაკლებად გამოკვეთილია. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის PDCA ციკლის მიხედვით მუშაობის პრინციპის აქტიური

პრაქტიკული გამოყენებადობისკენ მიდრეკილება, თვითშეფასების ანგარიშიდან, ინტერვიუებიდან და განხორციელებული საქმიანობის რეტროსპექტული მდგომარეობიდან გამომდინარე, პრაქტიკულად, აღნიშნული ციკლურობის წრიული ხასიათი ძალიან სუსტად მოსჩანს. განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანი იქნებოდა წარმოჩენილიყო პროგრამის სააკრედიტაციო პერიოდში პროგრამის ადმინისტრირების და შედეგების PDCA ციკლის მიხედვით განვითარების პროცესი. ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით ციკლურობის წრიულობას, ანუ დაწყება-დასრულებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით, მოქმედი პროგრამის შემთხვევაში. ზემოაღნიშნულთან ერთად, სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის ახალ მექანიზმებში გაწერილი იყოს ისეთი მექანიზმები, როგორიც სამიზნე ნიშნულების გაწერის მეთოლოგია და მისი პროგრამასთან მიმართებაში დანერგვის ფორმებია; ასევე, პროგრამიდან განთესვის მაჩვენებელი, რომელიც დაეხმარება პროგრამის ადმინისტრირების პროცესს და უზრუნველყოფს მისი სამომავლო განვითარების პერსპექტივის დანახვას. ასევე, პროგრამის კურსდამთავრებულთა საშუალო GPA-ის როლი სასურველია, გამოიკვეთოს სამიზნე ნიშნულის გაწერის პროცესში. ამასთან, სასურველია, რომ პროგრამის (მოდულის) ის სასწავლო კურსი იქნეს შეფასებული, რომელიც დახელოვნების (დაოსტატების) დონეზე გადის. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშის შესავალ ნაწილში აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში დაინტერესებულ პირთა ფართე ჩართულობა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, უფრო მეტად კი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი ყველაზე აქტიურ როლს თამაშობდა თვითშეფასების მომზადებაში. ასევე, სუსტია იურიდიული ფაკულტეტის დეკანის კოორდინაცია აღნიშნულ პროცესებში, რამდენადაც პროგრამის ადმინისტრირება ფაკულტეტის დეკანატის ორგანიზატორობით ხდება, ხოლო თვითსეფასება (ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტის გარდა), ფაქტობრივად, ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ არის განსახორციელებელი. ○
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა ○ თვითშეფასების დოკუმენტი ○ ინტერვიუ
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სამართლის სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია 2014 წელს მიიღო. აკრედიტაციის შედეგად გაცემული რეკომენდაციების მიხედვით: გაძლიერდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიმართულება, განხორციელდა პროგრამაში ჩართული პერსონალის მობილობა, ასევე უცხოელი ლექტორების მოწვევა უნივერსიტეტში და მათ მიერ ლექციების წაკითხვა; პროგრამაზე სტუდენტების მიღების შემდეგ მოხდა სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფა. უნივერსიტეტის მიერ აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები. დაწესებულებამ უზრუნველყო მათი მონაწილეობა სამეცნიერო და საერთაშორისო კონფერენციებში, ტრენინგებში და სამუშაო მივლინებებში; პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში ღირებულებების განსაზღვრა მოხდა ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით, რომლებიც უშუალოდ იმიტირებული პროცესის საშუალებით შესაძლებლობას იძლევა სტუდენტს ჩამოუყალიბოს ღირებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამა მეტწილად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. პროგრამის ადმინისტრირების პროცესში განხილულ იქნა და შესრულდა

აკრედიტაციის დროს მიღებული ძირითადი რეკომენდაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა ○ თვითშეფასების დოკუმენტი ○ ინტერვიუ
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური,

სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სამართლის სამაგისტრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შემდგომ მოდიფიცირებული სამაგისტრო პროგრამა შეფასებულ იქნა ქართველი და უცხოელი კოლეგების მიერ, რომლებიც დადებითად აფასებენ პროგრამაში ახალ დისციპლინებზე ყურადღების გამახვილებას, არჩევითი სასწავლო კურსების მრავალფეროვნებას, პრაქტიკული კომპონენტის არსებობას მათ შორის სასწავლო კურსების უმრავლესობის ფოკუსირებას პრაქტიკულ ნაწილზე და პროგრამის მიზნობრიობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ხარისხის უზრუნველყოფის ახალი მექანიზმებით გათვალისწინებულია თითოეულ სემესტრის ბოლოს სტუდენტების მიერ განვლილი სასწავლო კურსის შეფასება. ამისათვის შემუშავებულია სპეციალური კითხვარი. აქამდე არსებული შეფასების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის მოდიფიცირებისას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელდა ქართულ და უცხოურ ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან დადარება. შესწავლილ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტის, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტისა და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამები. ქართულენოვან სამაგისტრო პროგრამებთან ერთად პროგრამა დადარებულ იქნა უცხო პროგრამებთან, საიდანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია უცხოენოვან ორწლია სმაგისტრო პროგრამასთან დადარება. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშის შესავალ ნაწილში აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში დაინტერესებულ პირთა ფართე ჩართულობა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, უფრო მეტად კი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი ყველაზე აქტიურ როლს თამაშობდა თვითშეფასების მომზადებაში. ასევე, სუსტია იურიდიული ფაკულტეტის დეკანის კოორდინაცია აღნიშნულ პროცესებში, რამდენადაც პროგრამის ადმინისტრირება ფაკულტეტის დეკანატის ორგანიზატორობით ხდება, ხოლო თვითსეფასება (ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტის გარდა), ფაქტობრივად, ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ არის განსახორციელებელი. აღნიშნული მეთოდოლოგიური სიზუსტე განაპირობებს პროგრამის მონიტორინგის ეფექტიანობასა და PDCA ციკლის დასრულებას, რამდენადაც მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

ამასთან, უცხოურ პროგრამებთან დადარების შედეგების თვითსეფასების ანგარიშში სასურველია ასახული ყოფილიყო, რამდენადაც ერთია ფორმალური დადარების განხორციელება და მეორე, მისი რეალური განხილვა, ანალიზი და ამ პროცესში დაინტერესებულ პირთა ჩართულობა და მათი მხრიდან გაზიარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების დოკუმენტი
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ს შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამართალი/Law, მაგისტრატურა
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 45

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

ადეკვატურობა				
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

დავით მაისურაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

გიორგი მახარობლიშვილი



თათია უბერი